

დაცული ტერიტორიები

„ს-ი ი-ქმნება დაუზიჩყარი მოკონებები“

Protected Areas

ნატურალისტის თვალით დანახული ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები



WWW.APA.GE

დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS



ნატურალისტს, ბუნების მოყვარულ თუ მოლაშქრე ადამიანს ლაგოდების ხსენებაზე პირველ რიგში ლაგოდების ნაკრძალი ახსენდება. ერთხელ მაინც თუ მოგინწევს ლაგოდების ტყეებსა და მთებში მოგზაურობა, ველარასდროს შეძლებ მისი სილამაზის დაინწყებას. ჯაღოსური ბუნების ფერწერა უჩვეულო მუსიკის თანხლებით მთელი ცხოვრების მანძილზე თან გდევს და კვლავ თავისკენ გიხმობს.

მოკლერეზიუმე:

104 წლის წინათ 1912 წელს დაარსდა კავკასიაში პირველი დაცული ტერიტორია - ლაგოდების ნაკრძალი. დაარსების ინიციატივის სულისჩამდგმელი იყო პოლონელი ნატურალისტი ლუდვიგ მლოკოსევიჩი, რომლის წამოწყებულ საქმეს შეუერთდა და მლოკოსევიჩის სიკვდილის შემდგომ გააგრძელა იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიკოლოზ ივანეს ძე კუმნეცოვი. გეოგრაფიული საზოგადოებისა და მეცნიერებათა აკადემიის შუამდგომლობით ლაგოდების ხეობა 1912 წელს გამოცხადდა ნაკრძალად, რომლის ტერიტორიაზე აკრძალული იყო ხის ჭრა, ნადირობა და საქონლის ძოვება. ლაგოდების ნაკრძალის თავდაპირველი ფართობი 3500 ჰა-ს შეადგენდა, ამის შემდეგ რამდენჯერმე გაფართოვდა, დღეს ლაგოდების დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 24 532 ჰა-ს და მოიცავს ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალსა (ფართობი 19959 ჰა) და ალკვეთილს (4573 ჰა).

ლაგოდების დაცული ტერიტორიები ევროპის

ლაგოდები თბილისიდან 160 კილომეტრითაა დაშორებული. თბილისიდან 2 5 საათის სავალზე „მწვანე სამყაროში“ აღმოჩნდები. ქ. ლაგოდების ვაშლოვნის ქუჩა #197 მდებარეობს ლაგოდების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, სადაც განთავსებულია ვიზიტორების საინფორმაციო ცენტრი. ბილიკზე გასვლამდე გაივლი რეგისტრაციას, მიიღებ აუცილებელ რჩევებს და შეუდგები დაუვინყარ მოგზაურობას.

რეზიუმე ბილიკი: 4: „შავი კლდეების ტბა“

პირველი დღე -

გამგზავრება ადმინისტრაციული ცენტრიდან ტურისტულ თავშესაფარ მეტეომდე. მანძილი - 11,5 კმ.

ტური მომნახველთა ცენტრიდან იწყება და ალპური ზონისკენ შედარებით დამრეცი საცხენოსნო „დაღესტნის ბილიკით“ მთა დიდი ქოჩალოს მიმართულებით მიემართება. აღსანიშნავია, რომ შავი კლდეების ტბა ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის. სასაზღვრო ზონის გამო აუცილებელია თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბილიკის დასაწყისში - საინფორმაციო დაფები, ხოლო მთელ ბილიკზე განთავსებულია მანიშნებლები და მოწყობილია მონიშვნები ნითელი და თეთრი საღებავით, ასე რომ ბილიკის დაკარგვა წარმოუდგენელია. ბილიკის დასაწყისიდანვე ყურს იპყრობს ჩიტების ვალობა, აქ 150 სახეობაზე მეტი ჩიტი ბინადრობს. ბილიკი

ხილვა. რცხილნარ ტყეში წყარო გვხვდება, სადაც აუცილებლად უნდა შევავსოთ წყლის მარაგი, რადგან ტურისტულ თავშესაფარ „მეტეომდე“ წყალი არსად გვხვდება. 15-30 წთ-ში შევხვდებით კახეთის ლოკალურ ენდემს - „მრგვალ წამალას“ რომელიც ადრე გაზაფხულზე ყვავის და, როგორც იშვიათი სახეობა, შეტანილია ნითელ წიგნებში. 30 წთ-ში მივადგებით ქედის დასაწყისის ხელუხლებელ წმინდა ნიფლნარის კორომში.

აქამდე ვაკვებ მივდიოდით, ახლა კი მოგვინწევს სიმალლის აკრეფა, 1 სთ-ში ავდივართ სერზე ზ.დ. 1 300 მ. სიმალლეზე და გავუყვებით ქოჩალოს ქედს, სადაც ჩრდილოეთის მხარეს შეგვიძლია ვიხილოთ ნიფლნარის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით შერეული, ფართოფოთლოვანი ტყე. ტყეში სიარულისას გვაოცებენ ხეთა ფორმები, სიბერისგან გადატეხილ ხეებზე უზარმაზარი აბედა სოკოები ამოსულა, ხმელ ხეებზე ადვილად შეამჩნევთ კოდალის მიერ მოწყობილ ხვრელებს, რომლებშიც ბუდე სხვადასხვა წვრილ ძუძუმწოვრებს დაუდიათ.


2 სთ-ში აღმოჩნდებით სუბალპურ სარტყელში - მაღალმთის ნეკერჩხლის მეჩხერ კორომში, სადაც პარკისებრ ტყეებს მინდვრები ცვლიან, აქედან უკვე შესაძლებლობა გვქვდება ვიხილოთ ალაზნის ველი და მთავარი კავკასიონიდან სამხრეთით წამოსული ქედები, სადაც ტყეები და კლდეები თვალწარმტაც კომპოზიციას ქმნიან. ადრე გაზაფხულზე აქ უთუოდ შეიგრძნობოთ მომწარო-მოტკბო სუნს და მალე ყვითლად გადაპენტილ ბუჩქებსაც შეამჩნევთ. ეს იელია, რომელიც უამრავ მწერს იზიდავს. დღევანდელი დღის აღმართები დამთავრდა. 1 სთ-ში იხილავთ ტურისტულ თავშესაფარს „მეტეოს“, ხის კოტეჯს სადაც შესაძლებელია 18 ადამიანის განთავსება,

განლაგე-ბულია სპეციალურად მოწყობილი საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები. მეტეოდან 200 მეტრში ანკარა ცივი წყარო მოჩუხჩუხებს. მეტეოდან ლაგოდების ნაკრძალის სანახები იშლება, განსაკუთრებით საინტერესოა უნაგირა ქედის მიმართულება, საიდანაც დურბინდის დახმარებით ჯიხვე-ბის და ირმების დამხერა ჩვეულებრივი მოვლენაა, დილა-საღამოს ისინი ალპურ საძოვრებზე გამოდიან, შემდეგ კი ტყეში ეშვებიან. მეტეოს გარშემო ალპური მეჩხერი ტყე ირმის სამფლობელოა. აქ ირემი მთელი წლის განმავლობაში ბინადრობს, ასევე შეხვდებით ირმის არსებობის კვალს, ექსკრემენტს, რქებით გაქერქილ მოზარდ ხეებს, ხოლო სექტემბერ-ოქტომბერში, ირმის შეჯვარების პერიოდში, თქვენს ყურს აუცილებლად მისწვდება ხარირმის ბლავილი.

მეორე დღე -

მეტეოს თავშესაფრიდან გადაადგილება ტბის მიმართულებით და ლამისთევა ტურისტულ თავშესაფარში „დემიდოვის ბინა“. მანძილი - 15,5 კმ.

მეორე დღეს გზას ვაგრძელებთ ქოჩალოს ქედზე. 1 სთ-ში ავდივართ ტყის ზედა საზღვარზე ალპურ ზონაში, გზად ვიზიტორს ეძლევა შესაძლებლობა ნახოს იშვიათი ჩლიქოსანი ცხოველები, კერძოდ: ირემი, არჩვი, ჯიხვი, ასევე - ფრინველები: როჭო, კავკასიური შურთხი, ბატკან-ძერი და არწივის სხვადასხვა სახეობები. აქვეა მაცოცხლებელი წყარო. წყაროს მიმდებარე ტერიტორიიდან ცხოველებზე დაკვირვების კარგი წერტილია. ამ ადგილიდან 2 ხეობის სათავეების, მდ. ბნელიხეობისა და მდ. ლაგოდების ხევის დათვალიერება შეიძლება, აქედან უკვე



დაცული ტერიტორიების „ოჯახის“ წევრი გახდა 2017 წლის 5-8 დეკემბერს, ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი) გამართულ, „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის“ (ბერნის) კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის 37-ე შეხვედრაზე ლაგოდების (GE0000001) დაცულ ტერიტორიებს მიენიჭა ზურმუხტის ტერიტორიების სტატუსი.

იწყება 500 მ-ზე ზ.დ. დაახლოებით 20 წუთის სიარულის შემდგომ მივადგებით მდინარე ლაგოდების ხევის, რომლის გადაკვეთის შემდგომ ჩვენ წინაშე გადაიშლება უნიკალური რცხილნარი ტყის კორომი, რაც კავკასიაში საკმაოდ იშვიათობაა, იგი ნიფლნარი ტყის ქარქცევის (1933) შედეგად წარმოიშვა. უკვე აქედან, თუ უხმაუროდ ვივლით, შესაძლებელია შვლის ან გარეული ღორის

მეტეოში 4 ოთახია, რომლებშიც განთავსებულია 2 სართულ-ლიანი საწოლები. მეტეო ალტურულია მზის ელენერჯის სადგურით. აქ შესაძლებლობა გაქვთ ელექტრო ხელსაწყოები დამუხტოთ. მეტეოს გვერდით პატარა ხის კოტეჯში განთავსებულია სამზარეულო, სადაც შეშის ღუმელზე შესაძლებელია კერძის მომზადება და წყლის აღულება ჩაისთვის. მეტეოს მიმდებარე ტერიტორიაზეც

აზერბაიჯანის რესპუბლიკა და ზაქათლის ნაკრძალი ჩანს. შემდგომ 1 სთ-ში ავდივართ უღელტეხილზე, ე.წ. „დემიდოვის ნაშლებზე“, რომელიც ჯიხვების და შურთხების სამფლობელოდ არის ცნობილი. აქ დაკვირვების წერტილი ორია, დღეს ძირითადი აღმართები გავლილია, მივალწიეთ ზეგანს.

1 სთ-ში აღმოჩნდებით ათასფერი ყვავილით მოფენილ ალპურ მდელოებზე. აქ შეგხვდება ლაგოდეხის ენდემი ლაგოდეხის ნალველა. ეს მინდვრები ჯიხვების საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენენ. ჩვენ თვალწინ, სამხრეთით უკიდვანო ალაზნის ველი, ხოლო ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი გამოჩნდება. აქვეა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საზაფხულო პოსტი „პრონცის ბინა“, სადაც მესაზღვრეები ვიზიტორების რეგისტრაციას ახდენენ.

მომდევნო 40 ნთ-ში შეგხვდება გამყინვარების დროინდელი პატარ-პატარა ტბები, ტბის შუაგულში სხვადასხვა ფორმის ულამაზესი მწვანე კუნძულებით და ჯადოსნური ბუნების მიერ მოქარგული ჭაობები. 30 ნთ-ში ჩვენ წინ გადაიშლება შავი კლდეების ტბა. დიდი, გრანდიოზული შავი ფერის კლდეების ძირში განთავსებული ეს დიდი სარკე ირეკლავს მწვანე მდელოებს, ლურჯ ცას, შავ კლდეებს და საოცარ სანახაობას გვთავაზობს.

ტბიდან 40 წუთში მოხვდებით ტურისტულ თავშესაფარ დემიდოვის ბინაში, ეს ბინა განთავსებულია გამორჩეულად ლამაზ ადგილას 2650 მეტრზე ზღვის დონიდან ალპურ მდელოზე. ბინიდან ახლოს გადასახედებია მდ. ლაგოდეხისხევის, მდ. შრომისხევის ხეობებზე, ასევე აქედან იშლება საუკეთესო ხედი ალაზნის ველსა და კავკასიონზე. გარეული ცხოველების სანახაოდ ეს ადგილები გამორჩეულია. ჯიხვების გარდა აქ ადვილი შესაძლებელია ველურ ბუნებაში იხილოთ ირემი, მელა, დათვი, როჭო და შურთხი. მდინარეთა ხეობებში კი შთამბეჭდავი ნისლის „მიქცევა-მოქცევა“.

მესამე დღე -

გამგზავრება ტურისტული თავშესაფრიდან უკან აღმინისტრაციულ ცენტრში.

უკვე დადგა დრო დავბრუნდეთ ლაგოდეხში, ამ მონაკვეთზე ჩვენ გვინევს გავიაროთ კუდიგორის ქედი, რომელიც გამორჩეულია ხელუხლებელი უღრანი ტყით, ულამაზესი ხედებით. გზა თავქვე ეშვება. გზაზე შეგხვდება ლაგოდეხის და მლოკოსევიჩის იროდასალაში. ბუმბერაში საუკუნოვანი წიფლები, ასწლოვანი ღვიის ბუჩქები. გზაზე ასევე მრავლად გვხვდება მაყვალი, რომლის უგემრიელესი ნაყოფით შესაძლებელია პირის გასველება.

დაალოებით 6 სთ მგზავრობის მერე თქვენ უკვე ლაგოდეხში ხართ, ფიზიკურად ცოტა დაღლილი, მზიგან და მწვარი, მაგრამ თან მიგაქვთ ემოციებითა და ბედნიერებით საესე ხურჯინი, ფოტოებითა და ვიდეოებით საესე მესხიერების მატარებელი, თან მიგყვებათ ჩიტების ჭიკჭიკი, მდინარეების ხმაური და ჩანჩქერების ქუხილი, ასევე გაცილებენ ჩვენი ტყის ბინადრები.

ვიზიტორებს საშუალება აქვთ ეს ბილიკი გაიარონ როგორც ფეხით, ასევე ცხენებით, შეისვენონ სპეციალურად მოწყობილ საპიკნიკე ადგილებზე, ღამე გაათენონ კარვებში და იქირაონ შესაბამისი ალტურვილობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შავი კლდეების ტბა წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს საქართველოსა და დაღესტანს, ანუ რუსეთის ფედერაციას შორის.



შავი კლდეების ტბის ბილიკი

მიმართულება:



1. თბილისი - ლაგოდეხი 160 კმ (2,5 სთ): მიკროავტობუსები გამოდიან მეტრო ისნის მიმდებარე ავტოსადგურიდან, მგზავრობის ღირებულება - 7 ლარი; ტაქსები გამოდიან მეტრო ისნის მოპირდაპირე ტერიტორიიდან, მგზავრობის ღირებულება - 10-12 ლარი;
2. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - შავი კლდეების ტბა; ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მდებარეობს: ქ. ლაგოდეხი ვაშლოვნის 197.

მთავარი ღირშესანიშნაობები: ფართოფოთლოვანი ტყე, რცხილნარის კორომი, წმინდა წიფლნარის კორომი, მდ. ლაგოდეხის ხევი, ალაზნის ველისა და კავკასიონის ხელები, პატარა-პატარა ტბები, ჭაობები, შავი კლდეების ტბა, ფლორა და ფაუნა.

- მანძილი: 42 კმ;
- ლაშქრობის ხანგრძლივობა: 3 დღე;
- ცხენით ლაშქრობის ხანგრძლივობა: 3 დღე;
- სირთულე: რთული (უმეტესად ციცაბო და ვიწრო ბილიკები, მობილიზებულიობა და სათანადო სალაშქრო აღჭურვილობა აუცილებელია).

შენიშვნა: შავი კლდეების ტბის მონახულებისას, მესაზღვრეებთან რეგისტრაციისთვის, აუცილებელია თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ტურისტულ თავშესაფარში - „მეტეოში“ - 16 ადგილია, ხოლო „დემიდოვის ბინაში“ - 18. ტურისტულ თავშესაფართან მონაცემილია საკარვე ადგილები.

გიდებთან დაკავშირებამდე, ტურის დაგეგმვისა და ორგანიზების მიზნით, გთხოვთ მიმართოთ ვიზიტორთა სამსახურს: ალექსანდრე ლოლაძე

ტელ.: 577 10 18 34

ელ-ფოსტა: hanihih@gmail.com



შავი კლდეების ტბის ბილიკის რუკა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<http://apa.gov.ge/uploads/other/3/3556.pdf>

ლაშქრობისთვის რეკომენდაბული აჭურვილობა:

- სალაშქრო ფეხსაცმელი (სასურველია საშუალო ან მაღალყელიანი);
- სანჯიმარი ლაბადა;
- თბილი სამოსი;
- სალაშქრო ჯოხები;
- მზისგან დამცავი კეპი;
- საძილე ტომარა;
- კარემატი (თუ თავშესაფარში არ რჩება);
- კარავი (თუ თავშესაფარში არ რჩება);
- პირველადი დახმარების კომპლექტი (ნაკრები);
- მზისგან დამცავი საცხი;
- მწერებისგან დამცავი საცხი;
- წყლის ჭურჭელი (3 ლ);
- საკვები საში დღის;
- მცირე გაზქურა;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში შეიძლება იქირაოთ:

- კარავი;
- საძილე ტომარა;
- ზურგჩანთა;
- კარემატი.

მიკრო ავტობუსების განრიგი

თბილისი-ლაგოდეხი	ლაგოდეხი-თბილისი	ლაგოდეხი-თელავი	ლაგოდეხი-რუსთავი	ლაგოდეხი-ყვარელი
7:40	6:45	8:00	9:00	12:00
8:30	7:20	9:00	11:00	
9:30	7:55	12:30	15:20	
10:20	8:45	13:30		
11:10	9:30	14:20		
12:00	10:10			
12:30	11:00			
13:15	12:00			
14:00	13:00			
14:40	13:50			
15:20	14:50			
16:00	16:00			
16:30	16:45			
17:25	17:30			
18:15				
18:50				



„Unforgettable memories are created here“
Lagodekhi Protected Areas seen by naturalists

Eng Black Rock Lake Trail - This is one of the most interesting trails in all of Georgia and is distinguished by its astounding views of the Alazani valley and the Caucasus mountains. The route starts from the Lagodekhi Protected Areas Administration. In 10-15 min you will come across unique hornbeam stands (400-600 m above sea level) which are rather rare in the Caucasus.

In 30-40 min we will cross river Lagodekhi valley. While in 20-30 min we enter young virgin hornbeam stands, which grew as a result of a wind-break (1933). In 30 min we get to the beginning of the ridge in untouchable beech stands. In an hour we go up the hill 1,300m above sea level and go along Kochalo hill, where we can observe beech forest on the north and mixed broad-leaved forest on the south-east. In 2 hours you will appear in a sub-alpine zone – high hill, shallow maple stands. In an hour you will see the tourist shelter Meteo, picnic and camping sites specially arranged along the area. On the second day we continue our trip on Kochalo hill. In an hour we go up to the upper alpine, where visitors can observe rare ungulate animals such as: red deer (Servus elaphus), chamois (Rupicapra rupicapra), and wild goat (Capra caucasica cylindricornis); as well as birds such as grouse (Tetrao mlokosiewiczzi), Caucasian snowcocks (Tetraogallus caucasicus), bearded (Gypaetus barbatus) and various eagles. In an hour we go up the pass to the so-called Demidovi ruins, which are famous for a fiefdom of goats. Afterwards we appear on relatively flat alpine meadows which represent pastures for goats. In the following 40 minutes we come across little lakes and wetlands embroidered by the magic of nature from the glacial age. In 30 minutes Black Rock Lake spreads in front of us. Magic nature changes in front of the visitor 400-3,500m above sea level, and in the case of a careful walk one can meet rare representatives of fauna. Visitors can move by horses, rest on specially arranged picnic spots, overnight in tents and rent appropriate equipment. It is remarkable that Black Rock Lake represents a natural border between Georgia and Daghestan, the Russian Federation.

First Day - from the administrative center to the tourist shelter. Distance - 11.5 km, 1,350 m. above sea level.

Second Day – from the tourist shelter to the lake and back. Distance - 25 km, 900 m. above sea level.

Third Day - travelling from the shelter back to the administration building. Distance - 11.5 km., 1,350 m. above sea level. The tourist shelter can accommodate 16 individuals.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ტურისტული მომსახურების ტარიფები

მომსახურების სახეები	ფასი (ლარი)	სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები	
1. ღამისთევა ტურისტულ თავშესაფარში	1 ადამიანი/1 დღე	20	10
2. საკარვე ადგილი	1 ადამიანი/1 დღე	5	---
3. საპიკნიკე ადგილი	1 ადამიანი	15	10
4. კარავი	1 ადამიანი	10	---
5. საძილე ტომარა	1 დღე	5	---
6. ზურგჩანთა	1 დღე	5	---
7. ცხენით მომსახურება	1 დღე	50	---
8. კარემატი	1 დღე	3	---
9. საკონფერენციო დარბაზი ლაგოდეხში	1 დღე	150	---